თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 2020 წლის 19 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე**,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ გარე განათების კონსტრუქციებზე სს ,,სილქნეტის'' მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა,რომ (ა)იპ „მოვუსმონოთ სამყაროს" მოქმედ ხელშეკრულებას გასდის ვადა და ითხოვს მის გაგრძელებას, ის ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს, მისი საქმიანობა არის ქმედითი მისი ბენეფიციარებისთვის და მიზანშეწონილია ვადის გაგრძელება.

გიორგი თავბერიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ გარე განათების კონსტრუქციებზე სს ,,სილქნეტის'' მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ჩაბრაშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გ.ჩაბრაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ გარე განათების კონსტრუქციებზე სს ,,სილქნეტის'' მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი